



საქართველო  
 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის  
 საკრებულო



N 16  
 26/01/2018

16-07-4-201801261729



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
 განკარგულება №16  
 2018 წლის 26 იანვარი  
 ქ. ლანჩხუთი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 433642178), არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 433642203) და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „გოგონათა ექსპერიმენტალური სარაგბო-საფეხბურთო სკოლის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 433645004) რეორგანიზაციაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებისა და 106<sup>1</sup> მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად,

**მუხლი 1.** მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს განახორციელოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 433642178), არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 433642203) და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „გოგონათა ექსპერიმენტალური სარაგბო-საფეხბურთო სკოლის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 433645004) რეორგანიზაცია.

**მუხლი 2.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

**მუხლი 3.** განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ბესიკ ტაბიძე



საკრებულოს თავმჯდომარე  
 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო